KA030194897415420

№ 01-7483 **13 / ივლისი / 2020 წ.**

პოლიტიკის დეპარტამენტის:

სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს

ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს

დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს

შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს

შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველოს

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს

შესათანხმებლად გიგზავნით საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახურის მიერ წარმოდგენილ წერილს (სამინისტროს რეგ.: N69560; 07.07.20წ), რომლის თანახმად, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, წერილით მოთხოვნილ ვადაში, წარმოგვიდგინოთ იმ კანონპროექტთა ნუსხა (კანონპროექტების მომზადების გეგმა), რომელთა მომზადებაც იგეგმება პარლამენტის 2020 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდისათვის და რომლებიც საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით.

თქვენს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტის მომზადების გეგმაში გთხოვთ, ასახოთ:

1. კანონპროექტის დასახელება;

2. კანონპროექტის მომზადების აუცილებლობის დასაბუთება და მოკლე აღწერა (პრობლემის არსი, ანალიზი და მისი გადაჭრის გზა);

3. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების შესახებ;

4. თუ კანონპროექტის შემუშავება გამომდინარეობს ,,ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ‘‘ შეთანხმებიდან ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მითითება აღნიშნულის შესახებ;

5. კანონპროექტის წარდგენის სავარაუდო თარიღი.

გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტების გეგმის მიწოდება საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახურისთვის უნდა განხორციელდეს წერილში მოთხოვნილ ვადაში, გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, კანონპროექტების ნუსხა წარმოგვიდგინოთ თანდართული ცხრილის შესაბამისად, გონივრულ ვადაში, რათა იურიდიულმა დეპარტამენტმა შეძლოს სამინისტროს შეჯერებული პოზიციის გაგზავნა მითითებულ ვადაში (20.08.20წ).

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნათელა ხმალაძე